

**საქორწილო ლექს-სიმღერები  
ლაზურში**  
**WEDDING POEMS AND SONGS  
IN LAZ**

**ციალა ნარაკიძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბათუმი, საქართველო

**Tsiala Narakidze**

Shota Rustaveli State University  
Batumi, Georgia

**ABSTRACT**

The proposed research aims to study and analyze Laz wedding poems and songs. When discussing the issue, we rely on the materials found at the Folklore collections of Niko Berdzenishvili Institute and those obtained through our expeditions over the years. Several wedding poems and songs recorded with Laz people living in the Republic of Turkey are also presented in the article. Comparison of materials revealed many such samples that were either unknown to the academic literature or known as other variations. Consequently, the above-mentioned research is significant and has theoretical and practical value. The poetic works preserved in the memory of the people, though more or less forgotten, will return to the people again, will come to life and enrich the Laz ethnomusical area.

As it is known, the traditional bridal institute has undergone a change, modernization and, consequently, the poems and songs typical to a traditional Laz wedding are gradually disappearing. We believe that the above-mentioned research will preserve the ritual poems and songs provided here for illustrative purposes.

Laz wedding has its own firm, traditional rituals. These rituals are reflected in the Laz folklore. Observations on folklore materials have revealed that in Lazeti, as in other parts of Georgia, the wedding ritual consists of several stages and every stage is filled with folk poems and songs. The paper discusses the poems and songs of the specified content.

The bride searching as well as selection is the most important moment in the Laz wedding folklore, just as in other parts of Georgia. One of the specific functions in the wedding ritual is assigned to the institution of a matchmaker. The next stage involves the engagement that has been appropriately presented in the Laz wedding poetry. According to the Laz tradition, the interval between engagement and wedding was quite long. During this time, the fiancé would secretly meet with his beloved thanks to her female relatives. Laz people refer to this process as “sijalikoba” (relationship between groom and his in-laws).

Some of the Laz wedding-ritual poems and songs related to the wedding ceremony belong to Makruli (Georgian wedding song) poems part of which is dialogic by nature.

Thus, Laz wedding poems and songs are an organic part of a unified, common Georgian folklore. The customs of the ancestors related to the wedding rituals and the corresponding examples of the Laz folklore occupy one of the outstanding positions in the Georgian folklore allowing us to gain deeper insight into the spiritual world of the Laz people. These specimens preserved in the Laz life are important not only from folkloric but also from linguistic and ethnographic points of view.

**საკვანძო სიტყვები:** ლაზური ფოლკლორი, ქართული ზეპირ-სიტყვიერება, საქორწილო ლექს-სიმღერები.

**Keywords:** Laz Folklore, Georgian folklore, Wedding poems and songs.

ქორწილი სოციალური დანიშნულებით უაღრესად დიდი საზოგადოებრივი მისიის მქონე რიტუალია და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერების შექმნასა და დამკვიდრებაში სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, ბუნებრივია, ლაზებიც მონაწილეობდნენ.

ლაზურ ქორწილს თავისი მტკიცე, ტრადიციული წეს-ჩვეულებები გააჩნია. ეს წესები და ჩვეულებები გარკვეულ ასახვას პოულობენ ლაზურ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში.

ლაზებს საუკუნეთა განმავლობაში თურქულ გარემოცვაში ყოფნა უხდებოდათ. ამიტომაც, საქორწილო ტრადიციების ყველა მხარე და მასთან დაკავშირებული ზეპირი სიტყვიერი მასალა ვეღარ შემოუნახავთ.

წვეულებას, ქორწილს ლაზურად „ჭანდა“ ეწოდება, მაგრამ ქორწილის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება ლაზურში თურქულიდან ნასესხები სიტყვაც „დუგუნი“.

ქალ-ვაჟის ქორწინების მოწესრიგებაში მთავარი მომენტია საცოლის (ან საქმროს) ამორჩევისათვის ზრუნვა. ეს საზრუნავი ახალგაზრდების მშობლებს ეკისრებათ.

საცოლის ამორჩევაში არაიშვიათად თვითონ ვაჟიც მონაწილეობს. ამის დასტურია ჩემ მიერ სარფში ჩაწერილი ლექსი, სადაც საცოლე ბიჭები გაფაციცებით შეჰყურებენ გამრჯე და მომხიბვლელ ქალიშვილს, გულისფანცქალით ელიან, ვისზე შეაჩერებს არჩევანს:

ინჯუბალით მანი, მანი,	„შეეცადეთ ჩქარა, ჩქარა,
მის ანჭასენ ჰა კულანი?	ვის შეხვდება ეს გოგონა?
ნამუ რეთ, ჰელე, კაპეტი,	ვინ არის, ნეტავ, მაგარი,
მიში რენ ჰია კისმეტი?	ვისია, ნეტავ, ეს ბედი?“

შთამომავლობას, გვარიშვილობას, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, ლაზეთშიც დიდი ყურადღება ექცეოდა. ვაჟის ოჯახი ცდილობს სანაქებო ოჯახისა და გვარის ქალიშვილი მოიყვანოს რძლად. თავის მხრივ, ქალიშვილის მშობლებიც ცდილობენ კარგ გვარიშვილს მიათხოვონ შვილი. ყოველივე ეს სათანადოდ აისახა კიდევ ზეპირსიტყვიერებაში:

პატი ვოე მო გიჩქიტას,	„ნუ გგონია ცუდი ვარ,
აღაში სოი მილუნ...	აღას წარმოშობა მაქვს...
ხოფას დო ნოლედის	ხოფასა და ნოლედში
ოთხო ოხოი მილუნ.	ოთხი სახლი მაქვს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლაზეთში საცოლის ამორჩევისას, როგორც მკვლევარი ზურაბ თანდილავა მიანიშნებს, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, გასათხოვარი ქალიშვილის მუყაითობა, გამრჯეობა, საოჯახო საქმის ცოდნა და კარგი მეურნის თვისებები (თანდილავა 1972: 115).

ლაზეთში ფართოდ გავრცელებულ ერთ ლექსში ნაჩვენებია როგორც ზარმაცი და ოჯახისათვის გამოუსადეგარი, ისე გამრჯე, ენერგიული ქალი, რომელთა თვისებები კარგად ჩანს სამეურნეო საქმიანობაში.

ბაზი თემბელი რენ, ბელის გაჭაბენ,	
ონდლენერი გარაიშა მუფერ დაჭაბენ!	
ბაზი ქესქინი რენ, გეხორონს ბელის,	
ვართი ელუდგითუნ ჰეშო თემბელის.	
„ზოგი ზარმაცია, ბარს ეწებება, სადილისათვის კი გაჭენდება!	
ზოგი გამრჯე არის და ცეკვავს ბარზე,	
არ გაუჩერდება გვერდზე ზარმაცებს“ (ყიფშიძე 1939: 47).	

ვაჟს, თუ იგი გოგოს ან მისი ახლობლის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდება, ლაზური ჩვეულების თანახმად, უფლება ეძლევა, საჯაროდ „ქალიშვილს ხელი წააკაროს“. ეს გულისხმობს ქალიშვილისათვის მანდილის ან მსგავსი ნივთების წართმევას. ასეთი მოქმედება ქალის წინასწარი დასაკუთრების გარკვეულ წესად არის მიღებული და „ხემენტხიმი“ (ხელწაკარებული) ქალიშვილის ცოლად წაყვანას სხვა ვერ შეძლებს. ეს ჩვეულება ასახულია ხალხურ ლექსშიც:

ანწი სუმ წანა იყვენ,	„სამი წელი სრულდება,
მენდილი სქანი მილუნ,	შენი მანდილი მე მაქვს,
ილა გიყონამინო,	აუცილებლად წაგიყვან,
ვარ მეგაშქუმე ხვალა...	არ მიგატოვებ არა...“

ნიშნობა, როგორც ქორწინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, სათანადოდ წარმოჩინდა ლაზურ საქორწილო პოეზიაში. ნიშნობისათვის კარგ დღეებად ლაზებს მიაჩნდათ „ჩაჩხა“ („ცის დღე“) ან „უმქესეი“ (ხუთშაბათი) და „მჟაჩხა“ („მზის დღე“), იგივე კვირა.

ბოზო, ნიშანი სქანი	„ქალო, შენი ნიშნობა,
მჟაჩხა დღას გურის მილუნ,	მზის დღისათვის გულში მაქვს,
ირი შეი მამეტენ,	ყველაფერს გავიმეტებ,
დიდო ყოროფა მილუნ,	დიდი სიყვარული მაქვს.
ხანუმი დოგოხუნაფ,	ქალბატონად შენ დაგსვამ,
ზენგინობათი მილუნ!	მე სიმდიდრეც ბევრი მაქვს
ე, ბოზო, ნანა სქანის	ქალიშვილო, დედაშენს
სიჯას იგბალი ულუნ.	სიმის იღბალი კი აქვს“

(ვანილიში... 1964: 161).

ნიშნობისათვის ლაზებს საუკეთესო დროდ მიაჩნდათ „წანაღანი“ (ახალი წელი), ანუ იანვრის თვე.

ვიქიფ სქანი ნიშან, „გავაკეთებ შენს ნიშანს (დაგნიშნავ),  
მოხთაში წანაღანი რომ დადგება იანვარი (ახალი წელი)“

(თანდილავა 1972: 122).

ნიშნობიდან ქორწილამდე, ლაზური ტრადიციის თანახმად, როგორც მკვლევარი ზურაბ თანდილავა აღნიშნავს, საკმაოდ დიდი დრო გადიოდა. ამ დროის მანძილზე ვაჟი ფარულად ხვდებოდა დანიშნულს მამისეულ ოჯახში. ამას „სიჯალიკობას“ უწოდებდნენ. ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „ნიშანლობა“.

ვაჟი ფარულ ვიზიტს დანიშნულთან ახერხებს საცოლის ახლობელი ქალების და, მათ შორის, სასიდედროს დახმარებითაც. სასიდედროს თუ სიძე მოეწონებოდა, იმ შემთხვევაში შეახვედრებდა ქალიშვილს. ეს კარგად ჩანს ლექსში:

დამთიე ნა ამახთას, „სასიდედრო რომ შემოვა,  
დოდგითი სიჯასთეი, დახვდი როგორც სიძეს შვენის,  
ბოზო ამაგიჩქუმეს, გოგოს შემოგიგზავნის,  
სიჯა ქომოწონდაში. სიძედ თუ მოეწონე.  
ბოზო ქამაგიხთაში, გოგო რომ შემოგივა,  
დოდგითი კოჩისთეი... მოიქეცი კაცურად...“

(კარტოზია 1993: 227).

სასიძოს ჩუმი ვიზიტები სიმამრის სახლში ხდებოდა ხუთშაბათს. სხვა დღეს ვიზიტი სასიძოს საფრთხეს უქმნიდა. ეს ლაზურმა ხალხურმა ფოლკლორმა ასე ასახა:

ამსეი უმქესეი, „დღეს არის ხუთშაბათი,  
სიჯალეფეში სეი, სიძეების ღამეა,  
ბაშქა სეის ვარ მეხთა, სხვა საღამოს არ მიხვიდე,  
თის გექჩაფან ქესეი თავში ჩაგარტყამენ უროს“

(ჯღარკავა 2005: 102).

სასიძო დანიშნულის სახლში ხშირად სარკმლიდან შეიპარებოდა. დანიშნული თუ არ მოეწონებოდა, ფანჯრიდან გადახტებოდა. არც ეს მომენტი გამორჩენია სარფელი ლაზის მახვილ მზერას:

ფენჯეემენ ამუხთებს „ფანჯრიდან შემოუვა  
ბოზოს ნიშანი მუში, გოგონას დანიშნული,  
ბიჭი ამახთაშკულე, ბიჭი როცა შემოვა,  
ვარ მოწონს ძარი მუში, სატრფო თვალს არ მოუვა,  
ფენჯერემენ ოცხონტუნ ფანჯრიდან გადახტება,  
ძირაში ძარი მუში, უბნელდება თვალები,  
სანდულის ქოგესქიდუნ სკივრზე ოხრად დარჩება  
შექერლემეფე მუში მისი შაქარლამები“ (ნარაკიძე 2015: 28).

მთხრობელთა გადმოცემით, დანიშნულთან ფარულად მისული სასიძოს გამასხარავებაც ცოდნიათ. ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ სარფში

ჩაწერილი შაირი. შაირის დასასრულს სიძე გაწბილებული რჩება, დანიშნულის სანახავად მისულს უკან აბრუნებენ:

- ამ დღალეფეს მოგალეფს ასლანი უმქესეი,  
 მუფერ დღალეფეს ვორე, პანტა ენ უმქესეი.  
 - ეშო პანტა ვარ ნილენ, თის მოგატენ ქესეი,  
 მან იხტიბალი ვოე, ვა ვოე სქანისთეი  
 - შექერლემე ძიაში ქუიმხოს ლუყუსთეი...  
 სიჯა მენდაიყონათ დო, დიდი ოდას ეინე  
 თეცხანეს მეფჩათ ეი,  
 აჩქვა ფოსთი ქელამინ, ემუკალა ისთეას.  
 უმქესეიში სეის სიჯა გოქთინეს გეი,  
 ჯოლოიქ ულალუში აბდულაქ დოყუ სეი.  
 - „ამ დღეებში გიწევს, ასლან, ხუთშაბათი,  
 როცა მინდა, მაშინ არის ხუთშაბათი.  
 - ხშირად არ მიხვიდე, თავში მოგხვდება ურო.  
 მე დაფასებული ვარ, არა ვარ შენნაირი.  
 - შაქარლამას მუდამ შეექცევა ფხალივით  
 სიძე თან წავიყვანოთ და სასტუმრო ოთახის ნაცვლად  
 მას დავუთმოთ ფაცხა  
 და იქ ბეწვმიგდებულთან ითამაშებს რაღაცას.  
 და ხუთშაბათ საღამოს, სიძე გამოაბრუნეს.  
 ძაღლმა რომ დაიყეფა, ისეირა აბდულამ“.

ლაზურ საქორწილო-საწესჩვეულებო ლექსების ნაწილი უშუალოდ ქორწილის ცერემონიალთან არის დაკავშირებული და მაყრულ ლექს-სიმღერებს განეკუთვნება.

ლაზური მაყრული ლექს-სიმღერები, რომლებიც ჩაწერილია სოფელ სარფში, წარმოაჩენს მაყართა ინტერესებს ორივე მხრიდან. სასიძოს სახლთან მიახლოებისას ქალის მაყრები ასრულებენ მაყრულ სიმღერას „თირამოლა“. 2016 წელს ჩვენ ჩავიწერეთ ამ სიმღერის ახალი ვერსია, რომელიც არ არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში:

ულუნ მოლა, მულუნ მოლა,	„მიდის მოლა, მოდის მოლა,
თირა ნა რენ თირამოლა,	თირა რომ არის თირამოლა,
თამო-თამო ქოკოიბღათ,	ნელა-ნელა შევგროვდეთ
ჭანდა გიჭკენ თირამოლა...	იწყება ქორწილი თირამოლა...
სიჯა მოხთას თირამოლა	სიძე მოვიდეს თირამოლა,
სერი იყვენ დო ქობძირათ,	ღამეა და დავინახოთ.
მაყარი მოფთით თირამოლა,	მაყარი მოვედით თირამოლა,
მოხთით, მოხთით,	მოდით, მოდით,
ქოდოხედით	და დასხედით
მაყარეფე თირამოლა...	მაყრებო, თირამოლა...
ნოღამე დო ნოღამისა,	სასიძო და დედოფალი
ქოგეფხვამათ თირამოლა.	ჩვენ დავლოცოთ თირამოლა“.

მას შემდეგ, რაც მამამთილი რძალს სახლში შეიყვანს, კარებთან ნეფე-დედოფალს ასე დალოცავენ:

იკიზადით დო იხჩინით,	„ხანში შეხვიდეთ, მოხუცდეთ,
იმრიალით დიმჭკუსთე!	იმრავლეთ ჭიანჭველასავით!
გეხვამეი ტათ ირიშენ	ყველასგან დაილოცენით
მურუცხი დო თუთასთეი.	ვარსკვლავი და მთვარესავით“.

ოჯახში მოყვანილ დედოფალს, საქართველოს სხვა კუთხეთა ჩვეულებების მსგავსად, ჯერ კერიასთან მიიყვანენ, რაც ახალ ოჯახში კერიის (ფუძის) ანგელოზისათვის მისი მიბარების არქაული წესია და იქ დასვამენ. ერთ-ერთი დედმამიანი ბიჭი მას ფეხსაცმელს გახდის, რაც აგრეთვე ფუძის (კერიის) ანგელოზისადმი პატივისცემის ნიშანია, რადგან, საერთოქართული და ზოგადად საერთოკავკასიური მითოსური აზროვნების თანახმად, კერია „უხილავი“ (ადამიანის ფეხდაუდგმელი) ადგილია. დედოფალი ამ რიტუალის შემსრულებელ ბიჭს ფულით დაასაჩუქრებს (სარფი 2015: 390).

ლაზური საქორწილო ლირიკის მშვენიერი ნიმუშის „ზაფხული მოვიდა“ („აზი მოხთუ“) დასაწყისი სტრიქონები უხვად საზრდოობს ქართულ ფოლკლორში გავრცელებული ლექს-სიმღერების - „ვისია, ვისია ქალი ლამაზი“... ლექსიკით:

აზი მოხთუ, მჩხოფა რენ,	„ზაფხული დადგა, სიცხეა,
აჲ მსქვა ბოზო მიში რენ?	ეს ტურფა გოგო ვისია?
სო ნულუნ დო მის ნოდგითუნ,	სად მიდის, ვის მიადგება,
აჯაბ მიში ბოზო რენ?	ნეტავი, ვისი გოგოა?“

ლექსში დახატულია ამაყი ლაზი ასული, რომელიც, მართალია, სიყვარულის ალით იწვის, მაგრამ დარდსა და წუხილს არავის უმხელს, ამაყად მიდის და არაფრის ეშინია:

გუიქთუ, გულიწკედუ,	მოზრუნდა, შემოიხედა,
გზას გედგინ თი ძელეი!..	მიდის ამაყად როგორ!..
„იგითისთეი გულუნ,	ომახიანად მიდის და
ჰიჩ შქუინა ვარ ულუნ.	შიში არაფრად უღირს“.

თავმდაბალი და ჭკვიანი გოგონა დედ-მამით ობოლია და ბებიაზე ზრუნავს ბებიის ლოცვას კეთილი ნაყოფი გამოუღია და საუკეთესო საბედო რგებია, დედოფლობაც დაშვენდა და მთელი სოფლის ლოცვაც ერგო:

ნანდიდიში გეხვამუქ,	„ბებოსგან დალოცვილია,
კაი იგბალი გუნწკუ,	კარგი გაეხსნა ბედიც,
ეშო ბედი აჭაუ-ქი,	ისეთი საბედო ერგო,
ჰემ ნოსერი, ჰემ ბეგი.	თან ჭკვიანი, თან ბეგი.
ნოდამისობათი მუხთუ,	დედოფლობაც დაიმშვენა,
მთელი ქაოიქ გეხვამუ	დალოცა მთელმა სოფელმა“

(სარფი 2015: 392).

ლაზურ საქორწილო პოეზიაში ხშირად გვხვდება მშობლების სახლიდან მიმავალი პატარძლის სევდიანი განწყობილება. ეს კარგად ჩანს

ჩვენ მიერ გაღმა სარფში (თურქეთის სარფი) 2015 წელს ჩაწერილ ლექს-სიმღერაში:

მეულუ ქÁოის გალე,	„მივდივარ სოფლის გარეთ,
იმგარს თოლეფე ჩქიმიქ,	ტირის ჩემი თვალები,
მან აქოლენ ვიდაში,	მე აქედან რომ წავალ,
ნტრუცას ლიმანი ჩქიმი!	ჩამოინგრეს ლიმანი!
ხოლო გუის მემაჭვენ	ისევ მეცოდებიან
ნანა დო ბაბა ჩქიმი	დედა და მამაჩემი“.

ტრადიციულად, საქორწილო ლხინის დროს იქმნება ექსპრომტული ლექსები: ისინი შეიძლება იყოს სატრფიალო ხასიათისაც, მაგრამ, როგორც ზ. თანდილავა აღნიშნავს, იმის გამო, რომ ისინი ქორწილში შეიქმნა, საქორწილო სიმღერების („ჭანდას ბირაფა“) სახელით მოიხსენიება (თანდილავა 1972: 122). ასეთია სიმღერა „წულუ ბოზო“ („ქალწულო“), რომელიც შეთხზულია ვიწეში და ლაზები ქორწილში ცეკვის დროს მღეროდნენ. ამიტომაც ს. ჟღენტის ჩანაწერებში მას „ლაზური ხორონიში ბირაფა“ („ლაზური საცეკვაო სიმღერა“) ეწოდება (ჟღენტი 1998: 156-157).

წულუ ბოზო, სონი რე?

წულუ ბოზო, სონი რე?  
 დიდო, ჰეჲარ, დიდო ოროფონი რე  
 დიდო, ჰეჲარ, დიდო ოროფონი რე.  
 გური გურიში ჟერის,  
 გური გურიში ჟერის,  
 ვა რენ, ჰეჲარ, ვა რენ, ხალაღი სქანი,  
 ვა რენ, ჰეჲარ, ვა რენ, ხალაღი სქანი.  
 „ქალწულო, სადაური ხარ?  
 ქალწულო, სადაური ხარ?  
 ძლიერ, ჰეჲარ, ძლიერ საყვარელი ხარ,  
 ძლიერ, ჰეჲარ, ძლიერ საყვარელი ხარ,  
 გული საგულეს არ მაქვს,  
 გული საგულეს არ მაქვს,  
 არ მაქვს, ჰეჲარ, არ მაქვს, შენი ჭირიმე.  
 არ მაქვს, ჰეჲარ, არ მაქვს, შენი ჭირიმე“.

ტრადიციულად ლაზური საქორწილო სიმღერაა აგრეთვე „უჩა ბიჭი“ („შავო ბიჭო“), რომელიც არქაზულ საქორწილო-საცეკვაო სიმღერად არის მიჩნეული, მაგრამ სარფშიც იციან და კიდევ მღეროდნენ ძველად ქორწილში.

„წულუ ბოზო“ და „უჩა ბიჭი“, ეს ორი სიმღერა, რა გენეზისისაც არ უნდა იყოს, ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია მთელ ისტორიულ ლაზეთში და მათ შორის, სარფშიც. ისიც აღსანიშნავია, რომ სარფის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ვარიანტები ძირითადად საზრდოობს ცნობილი ლაზი სახალხო მთქმელის - ხასან ჰელიმიშისეული ვარიანტით.

ამრიგად, ლაზებმა ბოლომდე შემოინახეს საქორწილო რიტუალებთან დაკავშირებული წინაპართა წეს-ჩვეულებები და ფოლკლორული ნააზრევი, რაც კარგად გამოვლინდა ჩვენამდე მოღწეულ სარფულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

**ვანილიში... 1964:** ვანილიში მ., თანდილავა ა., ლაზეთი. თბილისი, 1964.

**თანდილავა 1972:** თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია. ბათუმი, 1972.

**კარტოზია 1972-1993:** კარტოზია გ., ლაზური ტექსტები. თბილისი, ტ. I - 1972, II - 1993.

**ნარაკიძე 2015:** ნარაკიძე ც., ლაზური ტექსტები. ბათუმი, 2015.

**ჟღენტი 1938:** ჟღენტი ს., ჭანური ტექსტები. თბილისი, 1938.

**რურუა 2006:** რურუა პ., ლაზური ქორწილი: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. ტ. VIII, თბილისი, 2006.

**სარფი 2015:** სარფი, ბათუმი, 2015.

**ყიფშიძე 1937:** ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები. თბილისი, 1937.

**ჯღარკავა 2005:** ჯღარკავა მ., ლაზური სიჯალიკობა და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV. ბათუმი, 2005.